აჭარის წყლის
ალიანსი

N 115
11/05/2023

115-01-2-202305111752
https://edocument.ge/AdjaraGov/public

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს“ უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 2023 წლის 8 მარტის #107 წერილში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, კერძოდ კი ნაცვლად შუახევი #2 ჩამდინარე გამწმენდი ნაგებობისა, მითითებული იყო შუახევი #1 ჩამდინარე გამწმენდი ნაგებობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი 2023 წლის 2 მარტის #21/1403 წერილით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დამატებით წარმოგიდგენთ აჭარის დაბების და სოფლების წყალმომარაგების და წყალარინების პროგრამის ფარგლებში დაბა შუახევის #2 ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის და მასთან დაკავშირებული საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას.

www.awa.ge

წერილს თან ერთვის:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში - ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია;
- გზშ-ს ანგარიშის არატექნიკური რეზუმე - ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია;
- ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - ნაბეჭდი (2 ეგზ.) და ელექტრონული ვერსია;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი - ნაბეჭდი (2 ეგზ.) და ელექტრონული ვერსია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;
- სააგენტოს მიერ მოთხოვნილ დამატებით საკითხებზე რეაგირების ერთიანი ცხრილი - ელექტრონული ვერსია;
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები shp ფაილების სახით.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

საქართველო, აჭარა, ბათუმი, 6010, კ.გამსახურდიას ქუჩა N1, ოფისი N4-7, ტელ: (0422) 278686
k.Gamsakhurdia St N1, Office N4-7, 6010, Batumi, Ajara, Georgia Tel (0422) 278686
Info@awa.ge www.awa.ge

ასევე გთხოვთ, აღარ განიხილოთ ჩვენი 2023 წლის 8 მაისის #107 კორესპონდენცია.

თეიმურაზ ბედინაძე

დირექტორი